

ლელო

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 62 (1232)

კვირა, 25 მაისი, 1958 წ.

ბამოცემის №14 წელი

ფასი 30 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საკმარისი არსებული მიტატისა და სპორტის საკმარისი საკმარისი რესპუბლიკური საკმარისი



როგორც ამახ წინათ ვიტყობინებოდით, კრანსოდარში გამართულ მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-სა და უკრაინის მძლეოსნთა საზღვარგარეთი შეჯიბრებაში შესანიშნავ წარმატებას მიაღწია საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონმა ათლეტმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. კუზნეცოვმა, რომელმაც მსოფლიო სპორტის ისტორიაში პირველად გადალახა 8-ათასიანი ზღვარი ათლეტში და 29 ქულით გააუმჯობესა ამერიკელ რ. ჯონსონის მსოფლიო რეკორდი — 7.95 სეკუნდა.

კლასიკური

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 მაისისათვის ძირითადი შემადგენლობაში

თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„შახტიორი“	11	5	3	3	10:10 18
„სპარტაკი“	8	4	4	0	22:10 12
„ტორპედო“	8	3	5	0	21:11 11
„ლოკომოტივი“	8	3	4	1	13:8 10
„დინამო“ კ.	8	2	5	1	15:10 9
„დინამო“ თბ.	9	4	1	4	15:24 9
„დინამო“ მ.	8	3	2	3	12:8 8
სსკ მო.	7	3	2	2	11:6 8
„ზენიტი“	7	2	3	2	8:10 7
„კრ. სოვეტოვი“	10	1	5	4	7:14 7
„დშირალტეცი“	11	3	0	8	17:30 6
„მოლოდვა“	9	0	4	5	11:21 4

ლენინგრადი, 23 მაისი. (ტელეგრაფით). დღეს აქ გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი ჩვენი ქვეყნის პირველობაზე „ა“ კლასის გუნდებს შორის. პირველ წრეში თავიანთი უკანასკნელი მატჩი ჩატარებს ადგილობრივმა „ადმირალტეცმა“ და სტალინის „შახტიორმა“. შეხვედრა მოიგეს დონბასელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 1:0.

საერთაშორისო შეხვედრები

მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და თურქეთის „გალატასარაის“ საერთაშორისო შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

მოსკოვის „ტორპედო“ ბულგარეთში ჩატარა ოთხი საერთაშორისო ანგარიშის შეხვედრა. საბჭოთა ფეხბურთელებმა მოიგეს ორ მატჩი (სოფიის „ლოკომოტივთან“ — 4:2 და „ლევიკთან“ — 2:0) ერთი შეხვედრა დამთავრდა ფრედ (ქალაქ პლევენის „სპარტაკთან“ — 1:1) და ერთი წააგეს (ვარნის „სპარტაკთან“ — 1:3).

გენზის სპორტული უსწივალის ჩემპიონი

ბრიუსელის მსოფლიო გამორჩეულთა კონგრესის ეს შესანიშნავი წარმატება? მიუხედავად იმისა, რომ ამ შეჯიბრებაზე ევროპის ჩემპიონს ფაქტიურად არ ჰყავდა კონკურენტი, ორი დღის განმავლობაში ებრძოდა უზილავ მოწინააღმდეგეს — მსოფლიო რეკორდსმენ რ. ჯონსონს და ათლეტის პროგრამის ექვს სახეობაში (ტურინის სამივე სახეობა, ჭოკით ხტომა, 400 და 1500 მეტრზე რბენა) დასჯა ახალი კიდევაც.

მსოფლიოს ახალმა რეკორდსმენმა ვ. კუზნეცოვმა 100 მეტრი გაირბინა 11 წამში, ხიგრძეზე ხტომაში აჩვენა 7 მ. და 30 სმ, დაძლია 175 სმ სიმაღლე, ხოლო ჭოკით ხტომაში თავისუფლად გადალახა 4-მეტრიანი ზღვარი და ბირთვი ჰკრა 14 მეტრსა და 49 სმ. ასევე წარმატებით გამოვიდა იგი მეორე დღეს, როცა ბადრო გაგზავნა 47 მ 50 სმ-ზე, ხოლო შუბი 66,16 მ-ზე. 400 მეტრი გაირბინა 49,1 წამში, 1500-მეტრიანი დისტანცია დამთავრა 4 წუთსა და 50 წამში.

ამრიგად, კიდევ ერთმა მსოფლიო რეკორდმა გადმოინაცვლა აშშ-დან საბჭოთა კავშირში. სურათზე: ვ. კუზნეცოვი.

ბრიუსელის მსოფლიო გამორჩეულთა კონგრესის ეს შესანიშნავი წარმატება? მიუხედავად იმისა, რომ ამ შეჯიბრებაზე ევროპის ჩემპიონს ფაქტიურად არ ჰყავდა კონკურენტი, ორი დღის განმავლობაში ებრძოდა უზილავ მოწინააღმდეგეს — მსოფლიო რეკორდსმენ რ. ჯონსონს და ათლეტის პროგრამის ექვს სახეობაში (ტურინის სამივე სახეობა, ჭოკით ხტომა, 400 და 1500 მეტრზე რბენა) დასჯა ახალი კიდევაც.

მსოფლიოს ახალმა რეკორდსმენმა ვ. კუზნეცოვმა 100 მეტრი გაირბინა 11 წამში, ხიგრძეზე ხტომაში აჩვენა 7 მ. და 30 სმ, დაძლია 175 სმ სიმაღლე, ხოლო ჭოკით ხტომაში თავისუფლად გადალახა 4-მეტრიანი ზღვარი და ბირთვი ჰკრა 14 მეტრსა და 49 სმ. ასევე წარმატებით გამოვიდა იგი მეორე დღეს, როცა ბადრო გაგზავნა 47 მ 50 სმ-ზე, ხოლო შუბი 66,16 მ-ზე. 400 მეტრი გაირბინა 49,1 წამში, 1500-მეტრიანი დისტანცია დამთავრა 4 წუთსა და 50 წამში.

ამრიგად, კიდევ ერთმა მსოფლიო რეკორდმა გადმოინაცვლა აშშ-დან საბჭოთა კავშირში. სურათზე: ვ. კუზნეცოვი.

მაოდ დაიგვიანეს მისკლა, ამიტომ მატჩი მოიგეს ბელგიელებმა — 7:57.

მეორე ტურში პოლონეთის გუნდმა ადვილად მოუგო გერმანიის სპორტსმენთა კოლექტივს — 9:6:58, ხოლო ბელგიელებმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს პოლონელები — 8:3:63. ამ დღის ცენტრალური შეხვედრა იყო ამერიკელ და საბჭოთა კალათბურთელების მატჩი. დასაწყისში ინიციატივა ამერიკელთა მხარეს იყო, სადაც განსაკუთრებით კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ ზანგები: ეულიუს მაკოი, დეკ პოლტი და გეორგ ლინი. თანდათან რიგელებიც გათამაშდნენ და მათ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ — 34:34.

მეორე ნახევარი ძლიერად ჩატარეს ვ. მუჩინიევსმა და ი. კრუმინშმა, მაგრამ დაწინაურება მაინც ვერ

მოახერხა ვერც ერთმა გუნდმა. შეხვედრის დამთავრებას 40 წამი აკლდა ანგარიში კი კვლავ საყიამო იყო — 66:66. მუჩინიევსის საჯარიმო გლეზბამ წინ გაიყვანა საბჭოთა გუნდი, რომელმაც მოიგო მატჩი — 67:66.

უკანასკნელი დღისათვის სამ გუნდს ჰქონდა მოგებათა ერთნაირი რაოდენობა: პოლონეთის „ლევიას“, რიგის სკვოს-სა და „რომი-60“-ს (ბელგია), ფინალში შეხვედნენ საბჭოთა და პოლონელი სპორტსმენები, რადგან მათ უფრო მეტი ბურთები ჰქონდათ გატანილი. გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა კალათბურთელებმა 67:61 და ტურნირში პირველი ადგილი დაიკავეს. ბელგიელებმა მესამე ადგილისათვის ბრძოლაში დაამარცხეს გერმანელი სპორტსმენები, ხოლო ამერიკელებმა (მესამე ადგილისათვის) — პოლონელები.

თბილისელ მსროლელთა წარმატება

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის სექტემბერში ლეიპციგში გაიმართება შეიარაღებულ ძალთა გუნდების პირველი სპარტაკიადა. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 13 ქვეყნის კოლექტივი. სწორედ ამ დღისათვის მთელი გუნდის მზადებას მივლინებთ ამ დღეებში ლეიპციგში დამთავრებული ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალთა სპარტაკიადა.

ტყვეით სროლის მთელ რიგ სახეობებში თავი ისახელებს საქართველოს სპორტსმენებმა. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში ჩვენი

ქვეყნის ახალი რეკორდი (წოლელო) დაამყარა ვ. ვარნიკმა (საქართველო), რომელმაც 197 ქულა დააგროვა, რაც 2 ქულით აღემატება ძველ რეკორდს.

საბრძოლო შაშხანიდან წოლელო სროლაში ქულათა თანაბარი რაოდენობა — 191 ქულა დააგროვეს და 1-IV ადგილები გაიყვეს ვ. ვასილენკომ (თბილისი), ი. მეტიენმა (კუბიკაშვილი), ლ. ლაბუხვიციამ (ვორონეჟი) და ა. პლოტკამ (მინსკი).

ავტომატიონის სროლაში, რომელიც ამ შეჯიბრებაში პირველად ჩატარდა (სროლა წარმოებს გარბენით სამივე მდგომარეობიდან. წოლელო 300 მეტრიდან, ჩოქელა — 250 მეტრიდან და ლეიპციგ — 200 მეტრზე) 20 წამში სპორტსმენმა უნდა მოასწროს ჩანთის გახსნა, სავსის ამოღება, ავტომატილი დატენვა და ორი სამიზნის დაზიანება თვითუღი დისტანციაზე. ამ სახეობაში ყველაზე კარგად გამოვიდა თბილისის გუნდი, რომელმაც უახლოეს კონკურენტს — მოსკოვს 61 ქულით გასწრო და პირველი ადგილი მოიპოვა. პირად ჩათვლაში შეიარაღებული ძალთა ჩემპიონმა გახდა თბილისელი სპორტსმენი ა. კაიუდა, რომელმაც ყველა სამიზნე დაზიანა და ქულათა მაქსიმუმს დააგროვა.



ბრიუსელის საერთაშორისო გამორჩეულთა კონგრესის ეს შესანიშნავი წარმატება? მიუხედავად იმისა, რომ ამ შეჯიბრებაზე ევროპის ჩემპიონს ფაქტიურად არ ჰყავდა კონკურენტი, ორი დღის განმავლობაში ებრძოდა უზილავ მოწინააღმდეგეს — მსოფლიო რეკორდსმენ რ. ჯონსონს და ათლეტის პროგრამის ექვს სახეობაში (ტურინის სამივე სახეობა, ჭოკით ხტომა, 400 და 1500 მეტრზე რბენა) დასჯა ახალი კიდევაც.

ალნიუნეს სახელოვანი იუზილი

ნახევარი საუკუნის წინათ, მუშათა რამდენიმე სპორტული კლუბის სპორტულ-ათლეტურ ფედერაციად გაერთიანებოთ საფუძველი ჩაეყარა საფრანგეთის მუშათა სპორტის, რომელმაც სახელოვანი გზა განვლო.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საფრანგეთის მუშათა სპორტის ფედერაციამ სწრაფად აღადგინა თავისი რიგები, რომელიც ახლა 200 ათასზე მეტ წევრს ითვლის. საფრანგეთის მუშათა სპორტმა მისი მეტად მდიდარი ისტორიით მსოფლიოს ყველა ქვეყნის მუშათა სიმათია დაიხსნა. სწორედ ამ აჟიომ იყო, რომ მისი დარსების 50 წლისთავის ობილევზე პარიზს ეწვივნენ საბჭოთა კავშირის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ბულგარეთის, ფინეთის, ჩინეთისა და სხვა პროკავშირული ორგანიზაციების დელეგაციები, სპორტსმენები.

მოეწყო ამ თარიღისადმი მიძღვნილი შეჯიბრებები. 6.000-ზე მეტი მკურნებელი ესწრებოდა 14 ქვეყნის სპორტსმენთა დელეგაციების პარიზის ჯამთრის ველოდრომზე, რას შემდეგ გაიმართა საფრანგეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ვალთა ნაკრები გუნდების მატჩი კალათბურთში. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 66:62, მოეწყო მთელი რიგი ქვეყნების ტანმოვარჯიშეთა საჩვენებელი გამოსვლები. მონაწილეთა შორის იყვნენ ოლიმპიური თამაშების პრიზორი ე. ბოსაკოვა (ჩეხოსლოვაკია), ტულევილი ლ. უშაკოვი, მოსკოვის ჩემპიონი თ. დენისკინა, კრანსოდარელი ვ. ტიანირიადნო და სხვები. აქვე ჩატარდა საფრანგეთის მუშათა სპორტის ფედერაციის უძველეს მოღვაწეთა საზეიმო სვლა.

ივრში (პარიზის გარეუბანი) სპორტსმენებმა მძლე შედეგები აჩვენეს. სიმძლევე სტომაში გაიმარჯვა ი. კაშკაროვა — 206 სმ. 1500 მეტრზე რბენაში ი. პიპინემ — 3:49 წ. მ. მატევემა ბადრო ტყორცნა 53 მ. 74 სმ. პოლონელმა ი. სიდლომ შუბი ჰკრა 75 მ და 7 სმ-ზე. მ. დმიტრიევმა (ჩეხოსლოვაკია) გაიმარჯვა 5 მ-ზე რბენაში და სხვ.



I ეტაპი თბილისი-ხა-
შური — 37 კილომეტრი
საათში; II ეტაპი ხა-
შური-თბილისი—37 კმ.
709 მ. საათში; III ეტა-
პი თბილისი-ბორჯომი
— 39 კმ. 755 მ. საათ-
ში; IV ეტაპი ბორჯომი-
თბილისი — 43 კმ 455
მ. საათში; V ეტაპი თბი-
ლისი-ანანური-თბილისი
86 კმ. 324 მ. საათში;
VI ეტაპი თბილისი-ლა-
გოდეხი—81 კმ. 788 მ.
საათში; VII ეტაპი ლა-
გოდეხი-თბილისი — 84
კმ. 571 მ. საათში.


სურათზე: ბოლო ეტა-
პზე გამარჯვებული ბ. ის-
მილოვის ფინიში.

ჩვეულებრივ, გადაღებული პარ-
ტიების დამთავრებას გარკვეულია
შეაქვს მონაწილეთა სატურნირო
მდგომარეობაში. ამიტომ ყველას აინ-
ტერესებდა, თუ როგორ დასრულ-
დებოდა ჩემპიონატის რვა ტურის
შემდეგ დაუმთავრებელი პარტიები.
განსაკუთრებულ ინტერესს იწვევ-
და გურგენიძის პარტიები გამარჯვლ-
სა და კალატოზიშვილთან. ოსტატმა
ჩინებულად ითამაშა და ოდნავ უარე-
სი პარტიები ყაიმით დაამთავრა.
ოთხი პარტია ჰქონდა დასამთავრე-
ბელი შიშოვს. უარეს პოზიციაში
მუსლავეთან მან ზუსტი სვლევით
ყაიმს მიაღწია, ხოლო კასპარიანთან
მეთოდურად მოახდინა უპირატესო-
ბის რეალიზაცია და გაიმარჯვა.
მესამე პარტიაში შიშოვმა გიორგი-
ძესთან კიდევ ერთი საჭირო ქულა
შეიძინა. მეთხუთე პარტია დემურია-

თან სათამაშო დროს ამოწურვის
გამო აღარ უთამაშია. გიორგიძე და-
წინადაც ბლაგიძეს.
ორ-ორი პარტია დაამთავრეს გა-
გუამ, ლომიამ და ბრეიტმანმა.
ბელთაძესთან გაგუას არავითარი
კონტრშანსი არ ჰქონდა და ამიტომ
იგი სულ მალე დამარცხდა. სამაგი-
ეროდ მან მოჩილაძესთან ენერგიუ-
ლი ბრძოლით მოიპოვა გამარჯვება.
ლომიას დემურისთან ყაიმის მხო-
ლოდ პრაქტიკული შანსები ჰქონდა.
მაგრამ მან ისინი სრულად ვერ გა-
მოიყენა და წააგო. კასპარიანთან მის
ეტაპის დამთავრებაში მოგების
რეალური შესაძლებლობა ჰქონდა,
რაც ახალგაზრდა მოჭადრაკემა პაი-
კების მეთოდური წინსვლით გამარჯ-
ვებით დააგვირგვინა, როცა ბრეიტმა-
ნმა შექმნა და შემდეგ აამოძრავა
გამსვლელი პაიკი გამარჯვებულთან
პარტიაში, ცხადი გახდა, რომ თბი-

ლისელი დამარცხდებოდა, მხოლოდ
ასეც მოხდა. თითქმის ოცეუ სტრატე-
გიანად განმეორდა მხოლოდ პირველ ტურ-
ტმანის პარტიაში ჩემპიონატის ყვე-
ლაზე ახალგაზრდა მონაწილესთან
იზოზნიკოვთან, ვინც მხოლოდ
ლოდ დამთავრდა ენერგიული
კალატოზიშვილის მიერ. მხოლოდ
ტის საინტერესო დამოლოცება
ზავით დაამთავრა. კვლავ გადაიდო
იზოზნიკოვ-გამარჯვების პარტია.
IX ტურში ღილი ინტერესი გამოი-
წვია გურგენიძისა და შიშოვის შერ-
ველამ. მოწინააღმდეგეებმა სწრა-
ფად გაითამაშეს ესპანური პარტია
ჩიგორინის სისტემა. მე-12 სვლაზე
გურგენიძემ ახალი გაგრძელება გა-
მოიყენა და თამაში უცნობი მიმარ-
თულებით წარმართა. შიშოვმა მე-17
სვლაზე მცდარად გაცვალა მხედარი
და რამდენიმე სვლის შემდეგ დაკარ-
გა პაიკი. შექმნილი უპირატესობა
გურგენიძემ იშვიათი სიზუსტით გა-
მარჯვებამდე მიიყვანა.
ბლაგიძემ უარესი თამაში მიიღო
მაკუარიათან, მაგრამ ისარგებლა
რა თბილისის ჩემპიონის პასიური
მანევრებით ააგო მიუღლომელი პო-
ზიცია, რის შემდეგ მეტოქეები და-
ზავდნენ. ტაქტიკური ბრძოლა გა-
ჩალა რაზოვსკიმ კასპარიანთან, მაგრამ
ციტინოვი ვერ გაითვალისწინა
ნა პოზიციის აკვარგინანობა და
დამარცხდა. ბლაგიძემ მოუგო ლო-
ლუსს, ბრეიტმანს — მორჩილი-
ძეს, ყაიმით დამთავრდა გამ-
რეველ-კალატოზიშვილის პარტია.
დანარჩენი პარტიები გადაიდო.
X ტურით დაიწყო ჩემპიონატის
მეორე ნახევარი. ამ დღეს შედგა
ლიდერების გურგენიძისა და ბლა-
გიძის შეხვედრა. პარტიაში, რომელ-
საც პოლანდური და ცუთ-დაიწყო,
ბრძოლის სიმძაფრე უკანასკნელ
სვლამდე არ დამცხვალა. ჯერ გა-
ჩალდა თამაში ლაზარის ფრთაზე,
სადაც ბლაგიძეს უკეთესი შესაძლებ-
ლობანი ჰქონდა, მაგრამ ოსტატმა
შეძლო მუქარების უვნებელიყოფა,
საკონტროლო უჯრედის დაპყრობა
და თამაშის სიმძიმის გადატანა მე-
ფის ფრთაზე. აი პარტიის ფინალი:

ორი ახალი სპორტის ოსტატი



ბა თუ იგოთის აღმართი, წარმატე-
ბით დაძლიეს და სამწუხაროდ, შე-
დარებით იოლ დისტანციას (ისეთს
როგორცია თბილისი-ანანური-თბი-
ლისი ან მანძილი თბილისიდან სიღ-
ნაღამდე) უპასუხისმგებლოდ შეხვდ-
ნენ. ანანურის გზაზე ველოსიპედის-
ტემა ზოგან საათში 20-25 კი-
ლომეტრი სიჩქარე აჩვენეს. ეს იმ
დროს, როდესაც მათ შეეძლოთ გა-
ცილებით მაღალი სისწრაფით სვლა.
ვინ უნდა ყოფილიყო პირველ რიგ-
ში ამით დაინტერესებული? ის
სპორტსმენი, ვისაც უკვე ჰქონდა
კარგი შედეგი და ვინც იზრდობდა
სპორტის ოსტატის მაღალი წოდებო-
სათვის. ამხანაგობა, მშაბიჭობა, რა
თქმა უნდა, კარგია, მაგრამ თავის


დროზე და ადგილზე. ველობოლა-
ში კი, სადაც ყოველი შეჩერება,
ტემის დაკლება კატასტროფულად
ამცირებს სისწრაფეს და მასსადა-
მე, უარყოფითად მოქმედებს შედე-
გზეც — ასეთი კოლეგიალობა არ
არის გამოსადევი.
სხვა საქმეა, როდესაც რომელიმე
მონაწილეს სჭირდება ტექნიკური
დახმარება და მას ხელს უწყობს
სპორტსმენი ან მწვრთნელი თუნდაც
სხვა გუნდიდან. ამის მავალითი საკ-
მაოდ ბევრი იყო ველობოლაში
და იგი, რა თქმა უნდა, მისასალმე-
ბელია.
გუნდური პირველი ადგილი ვე-
ლობოლაში მოიპოვეს „დინამოს“

სპორტსმენებმა. ეს არც არის გასა-
კვირი, რადგან იგი დაკომპლექტე-
ბულია საქმად ძლიერი ველოსიპე-
დისტებით. კარგად გამოვიდნენ
„ლოკომოტივის“ წარმომადგენლე-
ბი. აქ პირველ რიგში აღსანიშნა-
ვია ს. კვიციანი. რომელმაც, სამ-
წუხაროდ, ტრავმა მიიღო უკანასკნე-
ლი ეტაპის სტარტზე და რბოლას
გამოაყვანა. კარგად იმუშავა სპორ-
ტის ოსტატმა გ. რატიანიძემაც, რომ-
ელმაც თვის თანაგუნდელზეაან
ერთად მოუტანა კოლეტივს მეორე
ადგილი.
ამივე ველოსიპედისტებს, ერთ-
ერთ ეტაპზე წვის დარღვევის გამო,
უკანასკნელი მონაწილის შედეგი
ჩაუთვალათ (იმ ეტაპზე). მიუხედა-
ვად ამისა, სპორტსმენებმა კეთილ-
სინდისიერად დაამთავრეს დარჩენი-
ლი ეტაპები და შესაბამისად დაიკა-
ვეს ა. აგავემა მე-10 ადგილი, ლ.
შარშენოვმა — მე-15, ნ. ტრეტიაკო-
ვა — მე-17 და ა. შ. განსაკუთრე-
ბით კარგი შეთბევილება დატოვა
აგავემა, რომელიც მთელი რბოლის
მანძილზე ლიდერთა ჯგუფს არ
მოცილებია და რომელმაც კეთილ-
სინდისიერი, ენერგიული ბრძოლით
საერთო სიმშაბითა დაიმსახურა.
მრავალდღიანი რესპუბლიკური ვე-
ლობოლა ძაღლების ერთგვარი შემო-
წმება იყო საკავშირო შეჯიბრების
წინ და უნდა ითქვას, რომ მან საკ-
მაოდ კარგი შედეგები გვიჩვენა.
მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ
ჩვენმა ველოსიპედისტებმა და მწვრ-
თნელებმა თავიანთი საქმე გააკეთეს
და ახლა შეუძლიათ გულდამწვიდე-
ბით ყოფნა. არა, წინ მრავალი, სპა-
სუხისმგებლო ღონისძიება გვაქვს.

ბ. გურგენიძე

პირადი პეტიციები ყველა კვაიის ჯახში

	დრო	პრემია- ლური	საბოლოო შედეგი
ა. თავაძე „ლინი“.	28:23.28,0	2,30 წ.	28:20.58,0
ბ. შენგულია „ლინი“.	28:22.40,0	0,30 „	28:22.10,0
გ. ბირიუკოვი „სპარტ“.	28:23.10,0	2,30 „	28:22.40,0
დ. ისმაილოვი „სპარტ“.	28:34.05,0	1,30 „	28:32.35,0
ე. სატული აფხაზეთი	28:36.49,0		28:36.49,0
ვ. კლიმოვი „ბურევ“	28:50.29,0	0,30 წ.	28:49.59,0
გ. ჯოხაძე „ლინი“.	28:58.00,0	1,00 „	28:57.00,0
დ. ძეგნიანი „ლინი“.	28:57.23,0		28:57.23,0
ე. რატიანიძე „ლოკომ“.	28:57.56,0		28:57.56,0
ა. აგავეი სკვო	29:00.47,0	0,30 წ	29:00.17,0
ბ. ჩერნი აბხ. „კოლ“	29:16.51,0		29:16.51,0
გ. მიქაძე აჭარა	29:27.03,0		29:27.03,0
დ. სოლოდინი „ბურევ“.	29:32.42,0		29:32.42,0
ე. კვიციანი „ლოკომ“.	29:34.26,0		29:34.26,0
ა. შარშენოვი სკვო	29:36.05,0		29:36.05,0
ბ. გოგინავა აჭარა	29:38.14,0		29:38.14,0
გ. ტრეტიაკოვი სკვო	29:42.41,0		29:42.41,0
დ. კასოვსკი „შარ. რეზ.“	29:48.56,0		29:48.56,0
ე. გუბი აბხ. „კოლ“	30:29.21,0		30:29.21,0
ა. გამჯილაშვილი სკვო	30:40.39,0		30:40.39,0
ბ. ფურსოვი სკვო	30:48.28,0		30:48.28,0
გ. რემეტოვი „ლოკომ“	31:21.48,0		31:21.48,0
დ. ხუვაშვილი აჭარა	32:12.26,0		32:12.26,0
ე. სმოლიანოვი აჭარა	32:21.43,0		32:21.43,0



ა. ბლაგიძე
1. ... f4! 2. g4 g4 3. f4 e7 +
4. g4 e7 5. f4 e7 6. f3 e7!
7. e7 e7 8. ლფ ეფ3 6. ლხ3 ე4
10. ეე1 ლფ8 11. ეე4 ლე4 ბლაგიძე
დანებდა

ჩემპონარ მონანილოვან კვალიუიხიური მსაჯახი?

თბილისის პირად-გუნდური პირე-
ლობა თავისუფალ კილაობაში ყო-
ველთვის იწვევდა მყარებელთა
ინტერესს, რასაც ხელს უწყობდა
მსაჯათა ობიექტური მუშაობაც. ამას
ვერ ვიტყვი ამის წინა დამთავრე-
ბული თბილისის პირველობის პირ-
ველი ტურის შედეგების შესახებ.
ოსტატმა მოუმზადებლობისა თუ
მოწინააღმდეგეთა შეუფასებლობის
გამო შეხვედრები ხშირად კარგავდა
იმ ეფექტურობას, რომელიც სპორ-
ტის ამ სახეობისათვისაა დამახასია-
თებელი. სპორტის ოსტატ გ. ჯინჭა-
რაძისა და გ. საღარაძის შე-
ხვედრაში ჯინჭარაძემ არასწორად
ააგო ბრძოლა. მიუხედავად ამისა,
რომ იგი ორ ქულას აგებდა. მოწი-
ნააღმდეგესთან თავის იოლ გამარჯ-
ვებაში დარწმუნებული ერთხელაც
არ ცდილა ბრძოლის გამწვავებას და

სათანადო სასჯელიც მიიღო — შე-
ხვედრის წაგებით შეჯიბრებაში მე-
სამე ადგილი დაიკავა.
წარუმატებლად გამოვიდა ცნობი-
ლი მოქილაძე ს. გაბარავეიც, რომ-
ელმაც შედარებით სუსტ მოწინააღ-
მდეგებთან მხოლოდ ერთი შეხვედ-
რის მოგება და სამის ყაიმით დამთავ-
რება მოახერხა, რის გამო ფინალში
ველარ მოხდა. მოუმზადებელი
შეხვედრენ ღონისძიებას, აგრეთვე
სპორტის ოსტატები ა. სიმონიანი და
გ. ლაფაური. ფიქტიური ქილაობის-
თვის შეჯიბრებიდან მოიხსნა კველი-
შვილი.
არასათანადო სიმძაღლებზე იდგა
მსაჯობაც. ხშირია შემთხვევა, როცა
რესპუბლიკაში ცნობილ მსაჯათა
შემეტესობა (ქეკელიძისა და აქოფო-
ვის პარდა) თავს არიდებს მონაწი-
ლეობის მიღებას ამგვარ ღონის-
ძიებებში. ისე იყო ამჟამადც, რის
გამო შეჯიბრების ჩამტარებელი ორ-
განიხაცია — ქალაქის ფიზკულტუ-

რის კომიტეტი იძულებული შე-
იქმნა ღონისძიების ჩატარება მთლი-
ანად დაბალი კვალიფიკაციის მსაჯე-
ბისათვის მიერ, რომლებიც სუსტ-
ად ერკვეოდნენ სპორტსმენთა მიერ
ჩატარებულ ილითებში. სწორად ვერ
განსაზღვრავდნენ მოპოვებულ ქუ-
ლებს. ასე იყო სამუშაო წონის
მოქილაძეების, სპორტის ოსტატ მ-
ზიაშვილისა და შახაზოვის შეხვედ-
რაში, როცა მზიაშვილს დაუშახტ-
რებლად მიანიჭეს გამარჯვება და
სხვ.
შეჯიბრებაში, რომელშიც მონაწი-
ლეობდნენ ფიზკულტურის ინსტი-
ტუტის „დინამოს“, „სპორტითი რე-
ზერვის“, „ბურევსტნიკის“ სპარ-
ტაკის, სკვო-ს, განათლების განყო-
ფილების სპორტსმენები, გუნდური
პირველი ადგილი მოიპოვა ფიზკულ-
ტურის ინსტიტუტის კოლექტივმა.
წინა კატეგორიებში, პირველი ად-
გილები დაიკავეს: ა. დავითაშვილმა
(„სპარტაკი“), ლ. ძაგინიამ (ფიზკულ-

დანარჩენ შეხვედრებში რაზოვს-
კიმ მოუგო გაგუას, იზოზნიკოვმა
— კალატოზიშვილს, ხოლო ლომიამ
მაკუარიაანის პარტია ყაიმით დამთა-
ვრდა. ხუთი პარტია გადაიდო.
ამრეველ, X ტურის შემდეგ ბ.
გურგენიძეს 8 ქულა აქვს, ა. ბლაგი-
ძეს — 7, შ. შიშოვს — 6,5, ერთი
გადაღებული და ერთი გამოტოვებუ-
ლი პარტია, ა. ბუსლავეს — 6 და
ორი გადაღებული პარტია.
ტურის ინსტიტუტი, ზ. ძიძიკაშვილ-
მა („ბურევსტნიკი“) ა. გვიმარაძემ,
სულაძემ (ორივე ფიზკულტურის
ინსტიტუტები), ჯ. დავლაანიძემ
(„ბურევსტნიკი“), ა. ბურღულაძე
(„სპორტითი რეზერვა“) და გ. ბათ-
ლიძემ („დინამო“).
ი. ჩხარტიშვილი,
სპორტის ოსტატი.

„ბურვესტნიკის“ სპორტსკოლა

უკვე რამდენიმე წელია რაც სპორტსაზოგადოება „ბურვესტნიკის“ არსებობს ბავშვთა სპორტული სკოლა, რომელშიც გაერთიანებულია 500-მდე ნორჩი სპორტსმენი. ისინი მეთვლიყვეობენ გამოცდილი მწვრთნელებისა და პედაგოგების ხელმძღვანელობით, ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებებში, აქტიურად არიან ჩაბმული რუსუბულიის სპორტულ ცხოვრებაში.

„ბურვესტნიკის“ ბავშვთა სპორტსკოლის პედაგოგიური საბუკო მუშაობა კონტაქტში იმყოფება თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლასთან გამოცდილების გამოცდილებასა და წვრთნის მოწინავე მეთვლიყვეობას ურთიერთგაზიარების, შეჯიბრებათა უკეთ ორგანიზაციისა და ბავშვების რაციონალურად გამოყენების მიზნით.

დე), ფარიაობაში (მწვრთნელები ბ. მესხი და ა. ისლამოვი). ასეთივე წარმატებას მიაღწიეს საკავშირო შეჯიბრებაში კალათბურთელმა გოგონებმა მიმდინარე წლის იანვარში მოწეყო „ა“ კლასის კალათბურთელთა კოლექტივებთან არსებული კაბუეებისა და გოგონებს გუნდების საკავშირო შეჯიბრება, სადაც ჩვენმა სპორტსმენებმა დაიკავეს საპირფო ადგილები.

გარდა ამისა, „ბურვესტნიკის“ სპორტსკოლის ნორჩ სპორტსმენებს ნახევრად მოზრდილთა შეჯიბრებებშიც, სადაც ისინი ხშირად სერიოზულ წინააღმდეგობას უწევენ გამოცდილი ისტატების და იკავებენ წამყვან ადგილებს.

სპორტსკოლა შემდგომისდაგვირად ეხმარება საშეფო სკოლებს, აწეობს სპორტულ გამოცვლებს, ლიშქრობებს, საეგიტაციო ხასიათის ღონისძიებებს.

სექციების დაკომპლექტება სკოლაში ხდება ასეთი პრინციპით: მწვრთნელთა მიერ თვითფულ სახეობაში შემფუშავებული მისაღობი ნორმატივები, რომლებიც დამტყიცებულია პედაგოგიური საბუკოს მიერ.

არის შემთხვევები, როცა ბავშვების ჩარობვა წარბობს მამინაც, თუ ისინი ვერ ჩაბარებენ ნორმატივებს. ეს უკვე მწვრთნელის შეხედულებასა და გამოცდილებასა და მოკიდებული შეიძლება ბავშვმა დღეს ვერ ჩაბაროს ნორმატივი, მაგრამ მისი მონაცემები ომღვიან შემდგომ, სრულყოფისა და პროგრესის გარანტიას. გარდა ამისა, შეიძლება ბავშვი არ სწავლობდეს საშეფო სკოლაში და ექნეს „ბურვესტნიკის“ სპორტსკოლაში მეთვლიყვეობის სურვილი. თუ იგი უკვე არ ირბობს ქალაქის განათლების ან რაიონულ სპორტსკოლაში, მას შეუფერხებლად ლებულობენ შესაფერის სექციაში და როგორც ყველა სხვა, აძლევენ ბირადობის მოწეობას, ხოლო სპორტსკოლის დამთავრების შემდეგ — ატესტატს თანრიგის ჩვენებით.


ჩვენს სკოლაში შექმნილია რესპუბლიკაში ერთადერთი ბავშვთა ჯგუფი, რომელიც სპორტის ისტატე. ბასილაძის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს სემინების აწევაში. აღსანიშნავია, რომ ასეთივე ჯგუფი არსებობს ლენინგრადშიც (მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ისტატე ა. დუგანოვი) და მათს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით წარმოება რეგულარულ მიწერ-მოწერა და კონსულტაციები. აღსანიშნავია, რომ სკოლის ძალისხმეები საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეთვლიყვეობის ქვეშ იმყოფებიან.

„ბურვესტნიკის“ ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელ-პედაგოგთა კოლექტივი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ნორჩი სპორტსმენების შემდგომი სრულყოფისა და დისტატებისათვის.

ჩვენს მოვალეობაა აღვზარდოთ ჯანსაღი და სიცოცხლით საყვარებელი გამოჩენილი სპორტსმენთა ღირსეული ცვლა. ამ მიზნის შესარულმბლად არც ერთმა ჩვენთავანმა არ უნდა დაიშუროს თავისი უნარი და ენერჯია.

ჩვენს მოვალეობაა აღვზარდოთ ჯანსაღი და სიცოცხლით საყვარებელი გამოჩენილი სპორტსმენთა ღირსეული ცვლა. ამ მიზნის შესარულმბლად არც ერთმა ჩვენთავანმა არ უნდა დაიშუროს თავისი უნარი და ენერჯია.

გ. ხოშტარია,
„ბურვესტნიკის“ ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.



ორი თეატრის მატჩი

სამშაბათს, 27 მაისს, თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგება ტრადიციული ამხანაგური მატჩი ფეხბურთში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრისა და მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის გუნდებს შორის.

გუნდების საორიენტაციო შემადგენლობა ასეთია: რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი — რესპუბლიკის სახალხო არტისტები, სტალინური პრემიის ლაურეატები: ე. აფხაიძე, გ. სალარაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: ნ. ჩხეიძე, ე. მანჯგალაძე, კ. შახარაძე, გ. გიგეჭკორი, მსახიობები: ი. უჩანეთი, შვილი, პ. ლლონი, ლ. ლლონი, თ. ქვარაძე, ს. ლალიძე, ნ. ანდლუაძე, ნ. მარჯველაშვილი, რ. ჩხიკვაძე, თ. ქიშარია, გუნდის თავია ნ. ჩხეიძე, მწვრთნელი — ვ. შავდია; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი პ. კობახიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: ე. მაღალაშვილი, ვ. ნინუა, მსახიობები: გ. თოლორადავა, ა. ვერუღულიშვილი, ნ. მახატელი, კ. თოლორაია, ბ. გოგინავა, ნ. ბერიძე, ნ. მაგლობლიშვილი, გ. ხავენილი, ა. ქუთათიელი, ა. ენუქიძე, თ. წიკლაური, გ. დავითაშვილი, ი. ღონანძე, გენერალ-ლეიტენანტის სახალხო არტისტი პ. კობახიძე, მწვრთნელი — ვ. მარჯანიშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. მარჯანიშვილი.

მატჩი დაიწყება საღამოს 6 საათსა და 30 წუთზე.

პეტერ ბრისის მოგონებანი

პამპურგის გაზეთში „დი ველტ“ დაიბეჭდა შვედი ჟურნალისტის პეტერ ბრისის მოგონებანი სტოკჰოლმის „რასუნდას“ სტადიონის წარსულს შესახებ, სადაც უნდა ჩატარდეს ღონისძიება ტურნირის გადამწყვეტი მატჩები.

პ. ბრისი წერს: „სტადიონი გაიხსნა 1910 წელს. ორი წლის შემდეგ გერმანიის ფეხბურთელებმა დაამარცხეს რუსეთის ნაკრები ანგარიშით 16:0. ეს იყო გერმანიელთა ერთადერთი წარმატება, ვინაიდან მათ შემდეგ წააგეს უნგრელებთან ანგარიშით 1:3. ორივე ამ თამაშს ესწრებოდა მხოლოდ 440 ფანატიკოსი. 1937 წელს სტადიონი გადაკეთდა და შეეცოცხდა და ინგლისის ნაკრები გუნდების შეხვედრაზე უკვე არ იყო არც ერთი თავისუფალი ადგილი. ინგლისელებმა, რომელთა შორის თამაშობდა ლეგენდარული ცენტრფორვარდი ტედ დრეიკი, დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 4:0.“

თბილისის გ. ი. ლენინის სახელობის სპორტული დარბაზი

დღეს!

საპარტივლო სსრ 1958 წლის პირად-გუნდური პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში

შეჯიბრების დასაწყისი I და II თანრიგოსნებისათვის დილის 10 ს. ოსტატებისათვის — 16 ს.

უცხოელთათვის ერთგვარ უხერხულობას წარმოადგენს შვედური სამზარეულო, რომელიც მეტწილად ტაბლიო კერძებითაა ცნობილი. მაგრამ შვედურ პრესაში კარგა ხანია ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ საქართველო ყველაფერი გათვალისწინებულ იქნას ტურისტთა გემოვნების მიხედვით.

ფეხბურთში მსოფლიო პირველობის საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაქვეყნა მერვედფინალური მატჩების კალენდარი და ამ შეხვედრათა მსაჯუმის გვარები. 30 მსაჯი, ისევე როგორც გუნდები, დაყოფილი არიან 4 ქვეჯგუფად. არც ერთ მათგანში არ არის მსაჯი იმ სახელმწიფოდან, რომლის გუნდიც თამაშობს ამ ქვეჯგუფში.

კენგურუ რინგზე

რეპორტაჟი

ამას წინათ იაპონიის ტელეტურდით მოაწყო ორიგინალური გადაცემა. ცნობილი პროფესიონალი მოკრივე კ. ებისავა შეხვდა არა ნაკლებ ცნობილ კენგურუს — „მოჩხუბარ ტომის“. მოკრივე ნოკაუტირებული აღმოჩნდა პირველსავე რაუნდში. მსაჯმა ვერ მოასწრო თათი ეწევა გამარჯვებული კენგურუსათვის, რომ ეს უყანასკნელი დაიბტა თავის გულწასულ მეტოქეს და დარტყმების ისეთი სერია დააყარა, რომელიც ცნობილ პროფესიონალს მრისხანე მოკრივეებისაგანაც კი არ მიუღია. ასე დაირღვა სპორტული შეჯიბრების რიტუალი.

მას შემდეგ, რაც ამერიკის მოყვარულთა კალათბურთის თავი დაანება პირველი მნიშვნელობის „ვარსკლავმა“, მელბურნის ოლიმპიური თამაშების გმირმა, ბილ რასელმა და გადავიდა პროფესიონალებში, პირველ ადგილზე აღიარებულია უილტონ ჩემბერლენი — „შავი მარგალიტი“ კანზასის უნივერსიტეტის გუნდიდან. უილტონ ჩემბერლენს სახელგარბრეთ „ოვლენას“ უწოდებენ. შეიძლება ეს ეპიტეტი ოდნავ გასვადებული იყოს, მაგრამ იგი რომ

ჩვენს დროს უდიდესი კალათბურთელია — ფქტია. უილტონ ჩემბერლენი 213 სანტიმეტრის სიმაღლის ახალგაზრდა, რომელიც საკმაოდ იოლად ძლევს სიმაღლეზე ხტომაში 207 სანტიმეტრს, თავისი გუნდის და შეერთებული შტატების ნაკრების ყველა გამარჯვებათა ორგანიზატორი და ავტორია. სურათზე თქვენ ხედავთ უილტონ ჩემბერლენს, ბურთის კალათში ჩაგდების მომენტში. ფოტო პოლონურ ჟურნალ „სპორტოვიციდან“.

86-ჯერ
ყოველი ფეხბურთელსათვის უმადლეს პატივს წარმოადგენს თავისი ქვეყნის ნაკრებ გუნდში თამაში. ამ მხრივ მსოფლიო რეკორდი ჯერჯერობით ეკუთვნის ცნობილ ბრიტანელ ფეხბურთელს, ინგლისის ნაკრები გუნდის კაპიტანსა და დაცვის უცვლელ ცენტრს 36 წლის ბილ რაიტს. მან ინგლისის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში 86-ჯერ თამაშა ოფიციალურ საერთაშორისო მატჩებში.

რედაქტორი ი. უბულაძე.